

# ლიტუ

2024. მაისი

საბორველოს გამოცემა ერთობლივ განვითარებული გაერთიანების  
THE MONTHLY BULLETIN OF CATHOLICS OF GEORGIA - SABA





რედაქტორის მვერფი ... 3-4
<b>პათოლიკო ეკლესია</b>
მსოფლიოში ..... 5-6
ჩენი ეკლესია ..... 7-11
ჩანართი: ..... I-IV
სპეციალური სისარულის მოწევი ..... 12-13
ეკუმენური მვერფი ... 14-15
სოციალური მვერფი - Caritas Georgia ..... 16
თეოლოგიური მვერფი .. 17
პათოლიკური
კულტურის ..... 18
ინფორმაცია ..... 19

## გაისი

- 1** მაისი - წმ. იოსებ მშრომელის დღე, უდის „ქვედა ეკლესიის“ საკრებულოს დღეობა
- 3** მაისი - წმ. ფილიპე და წმ. იაკობ მოციქულთა დღესასწაული
- 8** მაისი - კამილიელ დ. მარია ნიკოლოზის გახსენება (+ 2005)
- 9** მაისი - ამაღლება (ან კვირადღეს, 12 მაისს), ბუზმარეთის ეკლესიის დღეობა
- 11** მაისი - მ. იეჟი შიმეროვსკის გახსენება (+2016)
- 14** მაისი - წმ. მატათა მოციქულის დღესასწაული
- 14** მაისი - წმ. მარია დომენიკა მაცარელოს, სალელ დედათა კონგრეგაციის დამაარსებლის, მოხსენიება
- 19** მაისი - სულთმოფენობა, ბათუმის ახალი ეკლესიის დღეობა
- 24** მაისი - მ. ივანე გვარამაძის გახსენება (+1912)
- 26** მაისი - ყოვლადწმიდა სამების დიდდღესასწაული
- 30** მაისი - ყოვლადწმიდა ევერარისტიის, უფლის ხორცისა და სისხლის დიდდღესასწაული (ან მომდევნო კვირადღეს, 2 ივნისს)
- 31** მაისი - მარიამის მონახულება





ხდება ხოლმე, როცა ბოლო მომენტში დაგირეკავენ, დაკრძალვამდე ერთი საათით ადრეც კი, რადგან მომაკვდავმა „უკანასკნელ წუთს“ აღმოაჩინა, რომ კათოლიკეა; უნდა იჩქარო და ჭირისუფალს გაჰყვე ლოცვისთვის, რადგან მართლმადიდებელმა მღვდელმა, ნათესავ-მეგობრების თხოვნის მიუხედავად, უარი თქვა ამაზე...

ასე აღმოჩნდები ახლად ამოღებული მიწის ბორცვთან, ირგვლივ ულამაზესი პეიზაჟით, მაგრამ ეულად, ცასა და მიწას შორის, ყველას გარეშე, გარდა იმისა, ვინც სასაფლაომდე მიგაცილა, ლამის ესტაფეტად გადადიხარ ხელიდან ხელში, მათ შორის, ვინც მღვდლის სასაფლაომდე მიცილება იყისრა; უცხაურია: როგორ გაისმის ეკლესის ეს წმინდა ლოცვა მარტოსულ და შემვეღ რწმენაში, რაც გაგრძნობინებსა, რომ შენი ყოფნა არსებოთია, მაგრამ, ამავდროულად, „გამოყენებული და მიღდებული“.

ანდა წვიმით გაუდენთილ მიწაში ჩარჭობილი ხის ჯვრის წინაშე, ნათესავ-მეგობრების ყურადღების ფონზე, რომლებიც ბედნიერები არიან, რომ საბოლოოდ მოიხადეს თავიანთი ვალი და სასაფლაოდან ისევ შინ ბრუნდებიან, თუმცა ამჯერად რწმენასა და სიცოცხლეს მოკლებულ გარემოში. უკან დაბრუნებისას კი თავში გიტრიალებს კითხვა:

როდემდე უნდა ხდებოდეს ეს ყველაფერი? ნუთუ მხოლოდ სიკვდილის შემდეგ, მხოლოდ მაშინ, როცა მართლმადიდებელი მღვდლის მწვავე კითხვების წინაშე აღმოვჩნდებით, უნდა შევიტყოთ, რომ მიცვალებული კათოლიკე იყო?

ეს ყველაფერი კი გაფიქრებინებსა: თუკი იმდენად პატივს სცემენ კათოლიკეს რწმენას, რომ მისთვის „მართლმადიდებლური ლოცვის“ წარმოთქმაც კი ვერ გაუბედავთ, რატომ არ ეშინიათ კათოლიკე ნათესავების გადანათვლის? მაშინაც კი, თუ პასუხი ადვილად გამოსაცნობია, მაინც შეუსაბამობაა... ამ ყოველივეს ფონზე! ჩანს, თითქოს ყველაფერი წესრიგშია ქართული ცის ქვეშ: საცოდავი მამაზეციერი, უშფოთველად რომ ამოჰყავს

**მამა გაპრიელე  
პრაგბანტინი CSS  
მთავარი რედაქტორი**

სტიგმალი;  
ეპისკოპოსის ვიკარიუსი  
ეპუმენიზმისა და კულტურის  
დარგში; ქუთაისის,  
ბათუმისა და ოზურგეთის  
საკრებულოთა წინამდღვარი



# რედაქტორის გვარდი

მზე ბოროტთა და კეთილთა თავზე (შდრ. მათე 5, 45)! რა ვითარებაში ვზღუდავთ მას აქ, საქართველოში, იმ უამრავი, მოძველებული რეფრენების გამო: არ შეიძლება ილოცო კათოლიკესთვის... კათოლიკემ არ უნდა ილოცოს მართლმადიდებლისთვის... ვიდრემდის... ვერ გადარჩები, თუ არ გახდები მართლმადიდებელი!

შეიძლება ისეც მოხდეს, რომ შეთანხმებულ დროს ილოცო გარდაცვლილი კათოლიკეს ცხედრის წინაშე, იმ ადამიანთა შორის, რომლებმაც არ იციან კათოლიკები არიან თუ მართლმადიდებელები (ალბათ იმიტომ, რომ მათი წინაპრები კათოლიკური ტრადიციის ოჯახებიდან იყვნენ, მაგრამ შემდეგ უცნაური მიზეზით იქცნენ მართლმადიდებელებად) და ისე გიყურებენ, თითქოს გეუბნებიან: „დიახ, შენ შეგიძლია ილოცო, მაგრამ მე შენთან ერთად ვერ ვილოცებ“;

მაშინაც კი, როდესაც წარმოითქმის ის ულამაზესი ლოცვა, რომელიც იესომ გვასწავლა, არ ცდილობენ გახსნან ბაგენი და ილოცონ, პირიქით, ქედმაღლურად მიგანიშნებენ, რომ რასაც შენ აკეთებ, მათთვის არავითარი ღირებულება არა აქვა; უფრო მნიშვნელოვანია, პატარა ანთებული სანთელი დაიჭირონ ხელში და უცეირონ იმ მბჟუტავ ცეცხლს, რომელიც უკვე აღარაფერს ანათებს; ხოლო გარეთ, ეზოში, კაცები სიგარეტს აბოლებენ და ვინ იცის, რა უსარგებლო რამეზე საუბრობენ იმ

გადაწყვეტილების მოლოდინში, რომ საბოლოოდ გადაიტანონ სასახლე თავის ბოლო განსასვენებელში. რამდენი რიტუალიზმია ცოცხალი ადამიანის ცხოვრებაში ამ უნიკალური მომენტისა და ეკლესის ერთ-ერთი უწმიდესი გულმოწყალებისთვის. მეორე მხრივ, ვაი შენი ბრალი, თუ რაიმეს ისე არ გაკეთებ: რიტალი, რომელიც მკვდარზე უფრო მკვდარია?

არადა საზოგადოების კულტურის სიდიდე საკუთარი მიცვალებულების მიმართ ნამდვილი კულტით გამოიხატება; ქრისტიანული საზოგადოება ნამდვილად „კათოლიკეა“, თუ დღესაც ძალუძს აღმდგარი უფლის სიტყვებისა და ცხოვრებისეული ნიშნების გადაცემა. სად არის ქრისტიანული რწმენა, რომელსაც შეუძლია სიკვდილის ციცაბო მთებზე ასვლა? ჯერ კიდევ რამდენია გასაკეთებელი მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანებმა იგრძნონ ევქარისტიის აღნიშვნის საჭიროება და მნიშვნელობა მიცვალებულთა ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში; თუმცა ამჯობინებენ ქელებს, კერძებს, სადღე-გრძელოებს... ისევე როგორც აღდგომის მისალოცად საფლავზე გასვლასა და წითელი კვერცხის გადაგორებას ამ კურთხეულ ჟამს; შემდეგ კი ყოველდღიური ცხოვრების მოთხოვნილებები მალე გვავიწყებს ამ მყიფე სააღდგომო ნიშანსაც კი, უცილობლად რომ გვაუწყებს ჯვარცმული ქრისტეს აღდგომას!



# პათოლიკა ეკლესია მსოფლიოში რუსულა ავალიზაციი

## რომის ეპისკოპოსი ლაზას სეპტორში ომის დაუყოვნელებელი შეწყვეტისკენ მოუწოდებს



13 აპრილს ირანმა ისრაელზე მასშტაბური საჰაერო თავდასხმა განახორციელა (170 დრონი, 30 ფრთოსანი და 120 ბალისტიკური რაკეტა). ისრაელის თავდაცვის ძალების პრეს-ცენტრის მეთაურის, დანიელ ჰაგარის ცნობით, ყველა დრონი და ფრთოსანი რაკეტა უვნებელყოფილია საჰაერო თავდაცვის მიერ. ქვეყნის საჰაერო სივრცე მხოლოდ რამდენიმე ბალისტიკურმა რაკეტამ გადაკვეთა. დაშავებულია 7 ნლის გოგონა, რომელიც ამჟამად ჰოსპიტალში მკურნალობს.

14 აპრილს, წმიდა პეტრეს მოედანზე აღვლენილი წირვის შემდეგ, უწმიდესმა პაპმა ღაზის სექტორში ცეცხლის დაუყოვნებელი შეწყვეტისკენ, მოლაპარაკებების გამართვისა და ჰუმანიტარული დერეფნების გახსნისკენ მოუწოდა: „უნდა აღიკვეთოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც სიტუაციას კიდევ უფრო გაამწვავებს და ახლო აღმოსავლეთს კიდევ ერთ ომში ჩაითროვს. ყველა ქვეყანა მშვიდობის მხარეს უნდა დადგეს და დაეხმაროს ისრაელისა და პალესტინის მკვიდრთ, რათა მათ გვერდი დაგვერდ, უსაფრთხოებაში ცხოვრება შეძლონ“.

## ევროპის მღვდელმთავრები პბორტის უფლების შესახებ

11 აპრილს ევროპარლამენტმა, ხმათა უმრავესობით (336 ხმა 163-ის წინააღმდეგ), ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიაში აბორტის უფლების შეტანა მოიწონა. ევროპის ეპისკოპოსთა კონფერენცია ამ გადაწყვეტილებას საგანგებო განცხადებით გამოეხმაურა: „ადამიანის ფერების უფლება - სიცოცხლის უფლებაა. ცხადია, რომ აბორტი სიცოცხლის საწინააღმდეგო ქმედებაა. უპირველეს ყოვლისა, სიცოცხლის დაცვა მაშინ გვმართებს, როცა ის მოწყვლადია. სწორედ ასეთია ჯერ არშობილის სიცოცხლე. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ ქარტია შეიცავს საყოველთაოდ მიღებულ უფლებებს და არა მათ, რომელთა თაობაზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში თანხმობა არ არსებობს. პაპის აკადემიის პრეზიდენტმა, მთავარეპისკოპოსმა ვინჩენცო პალიამ აღნიშნა, რომ ევროპარლამენტის გადაწყვეტილება, „კულტურული გაგებით, უკან გადადგმული ნაბიჯია“. მღვდელმთავარმა აღნიშნა, რომ კუნძისყრისას ევროპარლამენტს არ გაუთვალისწინებია არც რთულ სიტუაციაში აღმოჩენილი ქალების, არც არშობილი ბავშვების უფლებები. გარდა ამისა, მენტალიტეტმა, რომელიც ძლიერის მიერ სუსტის განადგურების უფლებას აღიარებს, შეიძლება მიგვიყვანოს სავალალ შედეგებამდე როგორც პიროვნულ, ასევე სოციალურ და ეროვნულ დონეზე.



## რწმენის მოძღვრების დეპარტამენტის დეკლარაცია ადამიანის ლირსების შესახებ

DICASTERO PER LA DOTTRINA DELLA FEDE

### Dichiarazione **DIGNITAS INFINITA**

*circa la dignità umana*



აპრილში რწმენის მოძღვრების დეპარტამენტმა გამოაქვეყნა დეკლარაცია „Dignitas infinita“, რომელიც ადამიანის ღირსებას ეძღვნება. დოკუმენტის პირველი სამი თავი შეიცავს ძირითად დებულებებს ადამიანის ღირსების შესახებ, მეოთხე თავი კი ადამიანის უფლებათა ჩამონათვალს გვთავაზობს. დოკუმენტის თანახმად, ადამიანის ღირსება ხელშეუვალია. ღმერთმა თავის ხატად და მსგავსად შეგვემნა, ქრისტემ თავისი სისხლით გამოგვისყიდა. „ეკლესია აღიარებს ყოველი ადამიანის თანასწორ ღირსებას, მიუხედავად მათი ცხოვრების პირობებისა და თვისებებისა“, - ნათქვამია მე-17 პარაგრაფში. დეკლარაცია გმობს ადამიანის ღირსების ყოველგვარ ხელყოფას, როგორიცაა მკვლელობა, გენოციდი, აბორტი, ევთანაზია, თვითმკვლელობა და ყველაფერს, რაც არღვევს ადამიანის ღირსების ხელშეუვალობას: დასახიჩრება, ფიზიკური და მენტალური წამება, ფსიქოლოგიური იძულება, ცხოვრების არაადამიანური პირობები, დეპორტაცია, მონობა, უკანონო პატიმრობა და სხვ.

## ბავშვთა პირველი მსოფლიო დღე

25-26 მაისს კათოლიკე ეკლესია პირველად აღნიშნავს ბავშვთა მსოფლიო დღეს. ამის შესახებ უწმიდესმა ფრანცისკემ გასული წლის დეკემბერში გამოაცხადა: „ამ ინიციატივის მიზანია ვუპასუხოთ კითხვას: როგორ მსოფლიოს ვუტოვებთ ბავშვებს, რომლებიც ახლა იზრდებიან? მოდით, იესოს მივბაძოთ. ბავშვებს მთავარი ადგილი მივუჩინოთ და მათზე ვიზრუნოთ“. ბავშვთა მსოფლიო დღის ღონისძიებების ორგანიზაცია და კოორდინაცია წმიდა საყდრის კულტურისა და განათლების დეპარტამენტს დაეკისრა. ამ დღესთან დაკავშირებით, უწმიდესმა ფრანცისკემ საგანგებო ეპისტოლე გამოაქვეყნა. „მინდა, პირადად მივმართო თითოეულ თქვენგანს. შენ, ძვირფასო ბიჭო! და შენ, ძვირფასო გოგო! შენ ხომ ძვირფასი ხარ ღვთისათვის! ამავე დროს, ყველას ერთად მოგმართავთ, რადგან ყველას ზრდისა და განახლების სურვილი გაერთიანებთ. თქვენ გვახსენებთ, რომ ჩვენც შვილები და ერთმანეთის დაძმა ვართ. ყოველი ჩვენგანი ამქვეყნად ვიღაცამ მოიყვანა, და ვერავინ გაიზრდება, თუკი მასთან არ იქნებიან სხვა ადამიანები, რომლებიც მის სიყვარულს მიიღებენ, თავისას კი გასცემენ... ახლა კი საიდუმლოს გაგიმელთ: იმისთვის, რომ ჭეშმარიტ ბედნიერებას მიაღწიოთ, ბევრი უნდა ილოციოთ, რადგან ლოცვა ღმერთთან გაკავშირებთ, თქვენს გულებს ნათლით, სითბოთი და მშვიდობით ავსებს. როგორ მივმართოთ ღმერთს? იესო თავის ენაზე მას „აბბა“ უწოდებდა, რაც მამას ნიშნავს. მოდით, ჩვენც ასე მოვიქცეთ“.



## სულიერი წრთვნები წეროვანში

ტრადიციისამებრ, მიმდინარე წელსაც მეუფე ჯუზეპე პაზოტომ დიდმარხვის პერიოდში სულიერი ვარჯიშებისთვის კვლავ მოიწვია საქართველოს კათოლიკური სამრევლოებიდან მორწმუნები. წეროვანის სულიერების ცენტრში სამი დღის მანძილზე გრძელდებოდა ეს დაუვინყარი შეხვედრა. წლევანდელი სულიერი წრთვნების თემა წმიდა პეტრე მოციქულს ეხებოდა. მაცხოვრის ეს მონაცე ახალი აღთქმის წიგნებში იქსოს შემდეგ ყველაზე ხშირად არის ნახსენები და სახარების პერსონაჟებს შორის ყველაზე საკამათო ფიგურაა. სიმონ-პეტრე გახლავთ ის მოციქული, რომელიც ხშირად ეჭვდება თავის მოძღვარში, მაგრამ სწორედ მას მიმართა იესომ სიტყვებით: „შენ ხარ პეტრე (კლდე) და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი“ (მათ. 16, 13-20).

სულიერი წრთვნების შეზღუდული დროის გამო, ცხადია, წარმოუდგენელია პეტრე მოციქულთან დაკავშირებული ყველა საკითხის განხილვა, ამიტომაც მეუფე ჯუზეპემ წრთვნები დაყორ ოთხ მედიტაციად: პირველი - პეტრეს სამგზის დაბადება: „ნაზარეთის ტბა, კაპერნაუმი, იორდანეს წყაროებთან“; მეორე - პეტრეს სამი სიკვდილი: „აღიარებიდან უარყოფამდე“; მესამე - პეტრეს სამი აღორძინება: „გიყვარვარ? დამწყემსე: გიყვარდეს!“ მეოთხე - მოციქულთა საქმეები და პეტრე. თითოეული მედიტაცია, თავის მხრივ, სამ ნაწილს მოიცავდა.

სულიერი წრთვნებში მონაწილეთა მიმართ ერთერთი მთავარი მოთხოვნა მთელი განკუთვნილი უამის მანძილზე მდუმარების დაცვაა, რათა მდუმარებაში უკეთ იქნეს განცდილ-გააზრებული მოსმენილი და წაკითხული. სულიერი წრთვნების მთელ პროცესში, წრთვნების ეფექტური შედეგის მისაღებად, მონაწილეთა მხრიდან მოძღვრის მიერ მითითებული მოთხოვნების დაცვა ერთ-ერთი მთავარი პირობაა, რადგან მონაწილეთა შორის საუბარი, ზედმეტი ფუსფუსი, ხმაური, ყურადღების გადატანა ყოფით წვრილმანებზე ხელს უშლის კონცენტრაციას და შეიძლება სრულიად უშედეგოც გახადოს წრთვნებში განვლილი დღეები. წეროვანში მცირე დროით, მაგრამ ნაყოფიერად გატარებული თანაცხოვრება კი სულიერი წრთვნების მიზნის სრულყოფილად მიღწევის საშუალებას იძლევა. მონაწილეთა დიდი უმრავლესობისათვის მდუმარების უამი სასიამოვნო და ადვილად დასაცველია, თუმცა, ვინც პირველად არის მსგავს სიტუაციაში, პირველ ეტაპზე ორდღიანი მდუმარება შეიძლება საქმაოდ რთული შესასრულებელი



აღმოჩნდეს. პირადი გამოცდილებიდან შემიძლია დავადასტურო, რომ წინა წლებში წეროვანში გატარებული სულიერი წრთვნების შთაბეჭდილებები დაუვინყარია და ზუსტად მახსოვს ყოველი დღის საუბრები და საკითხავები. ამაში კი სულიერი კონცენტრაცია გვეხმარება, რომლის მიღება საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენის, სულიერი ჩაღრმავებისა და მდუმარების გარეშე შეუძლებელია.

სულიერი წრთვნების მეორე დღეს არღიდან გვესტუმრა მამა დარიუშ კომადოვსკი, რომელმაც შთამბეჭდავი ლექცია ჩატარა პირველი პაპის, პაპობის ინსტიტუტის, მისი ისტორიის, მნიშვნელობის, თანამედროვე როლის შესახებ.

სულიერი წრთვნების გამორჩეულ ნიშნად იქცა ეპისკოპოსის მიერ თემატურად შერჩეული მხატვრული ფილმების ჩვენება და მათი განხილვა, რამაც კიდევ უფრო მეტი ინტელექტუალური ემოცია შემატა სულიერ ვარჯიშებს. პირველი სალამოს დასასრულს წარმოდგენილ იქნა პოლონური ლიტერატურის კლასიკოსის, მწერალ ჰენრიკ სენკევიჩის ისტორიული რომანის „ვიდრე ჰევალ?“ („Quo vadis“) - „საით მიდიხარ?“) ეკრანიზაცია, განხორციელებული აღარებული პილონელი რეჟისორის, ეუი კავალეროვიჩის მიერ. ფილმში ვითარება მიმდინარეობს პირველი საუკუნის რომში, სადაც პეტრე მოციქული მარადიული ქალაქის პირველ ქრისტიანულ საკრებულოს მწყემსმთავრობს. ნაწარმოებში გაცოცხლებულია ქრისტიანთა თემის ცხოვრება, ასახულია ქრისტიანთა პირველი დიდი დევნა, პეტრე მოციქულის სულიერი მერყეობა და

# ჩვენი ეკლესია ლეგიტიმი პარდაველიძე

თავგანწირვა. ქრისტიანული ტრადიციით, სწორედ პეტრე მოციქული მიიჩნევა მარადიული ქალაქის პირველ მღვდელმთავრად, რომლის მემკვიდრეებსაც შემდგომ უკვე რომის პაპის ტიტული მიენიჭათ. აქვე აღვინიშნავ, რომ სენკევიჩის ამ რომანის პირველი ეკრანიზაცია ჯერ კიდევ 1913 წელს განხორციელდა იტალიაში. სულ ხუთი ეკრანიზება არსებობს, მათ შორის, სამი იტალიაში, ერთიც ჰოლივუდში, უკანასკნელი კი პოლონეთში. „ვიდრე ჰევალ“ ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებია პეტრე მოციქულისა და ადრეული ქრისტიანული ეკლესის ცხოვრების შესახებ, რომელიც თავისი ფორმით ძლიერ ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე.

სულიერი ვარჯიშების მეორე დღის ბოლოს წარმოდგენილ იქნა 2019 წელს გადაღებული იტალიური ფილმი „ორი პაპი“, რომელიც პაპ ბენედიქტესა და პაპ ფრანცისკეს რეალურად არსებული შეხვედრებისა და პირადი საუბრების მიხედვით წარმოგვიდგენს მსოფლიო ეკლესის ისტორიის უნიკალურ ეპიზოდს. ნაწარმოები გვიჩვენებს თაობათა განსხვავებულ პოზიციას წმიდა საყდრის როლის შესახებ თანამედროვე სამყაროში, რაც ორი მოქმედი პაპის მსოფლმხედველობისა და მომავლის ხედვის შეპირისპირების ფონზე წარმართება. „ორი პაპი“ წმიდა საყდრის მხარდაჭერით შეიქმნა. თავდაპირველად, ვატიკანის მიერ მიწოდებული დოკუმენტური მასალების საფუძველზე ენტონი მაკარტენმა დაწერა პიესა „პაპი“, რომლის მიხედვითაც 2019 წელს ბრაზილიელმა რეჟისორმა ფერნანდუ მეირელიშმა შექმნა ფილმი „ორი პაპი“, რომელიც საკმაოდ წარმატებული გამოდგა, 2020 წელს ნომინირებული იყო ოსკარზე, ასევე სხვა საერთაშორისო ფესტივალებზე. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ქართულადაც გაახმოვანეს. მეუფე ჯუზეპემ, რომელსაც უშუალო შეხვედრები

ჰქონია ორივე პაპთან და წმიდა საყდრის პოლიტიკასაც შეიგნიდან იცნობს, ზუსტად განსაზღვრა, რომ სწორედ ეს ფილმი საუკეთესო საშუალება იქნებოდა ვატიკანის თანამედროვე ხედვისა და პოზიციის წარმოსაჩენად. გარდა ამისა, ფილმი პირდაპირ კავშირშია პეტრე მოციქულთან, რომელიც კათოლიკეთათვის რომის პირველ პაპად მოიაზრება.

„ორი პაპი“ მართლაც საოცრად დინამიკური და ემოციური ფილმია, სადაც წარმოდგენილია მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების იმ პრობლემათა ჯაჭვი, რომელთაც განსაზღვრეს კათოლიკე ეკლესის განვითარების მიმართულება; ნაჩვენებია ლათინური ამერიკის კათოლიკე ეკლესის პრობლემები, დიქტატურა და მემარცხენე კათოლიკე მღვდლების შეურიგებელი პოზიციები, სოციალური საკითხები, რომლებიც დასავლეთ სამყაროში ვითარდებოდა. აქვე აღვინიშნავ, რომ აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში იდგა არა ეს პრობლემა, არამედ კათოლიკე ეკლესის ყოფნა-არყოფნის საკითხი, შემდგომ კი კათოლიკეთა მიმართ არატოლერანტულმა დამოკიდებულებამ იჩინა თავი. ორი პაპის დიალოგები, რომლებიც სიმბოლოებითა და თბილი იუმორით არის გაჯერებული, სინამდვილეში, პაპობის ინსტიტუტის როლთან მიმართებაში, წარმოაჩენს ორ მაგისტრალურ ხაზს - კონსერვატურულ და ლიბერალურ მიდგომებს. ამ ორივე პოზიციას მრავალი მხარდამჭერი ჰყავს კათოლიკურ სამყაროში. ფილმის რეჟისორის პოზიციაც, თავად ფილმის ლაიტმოტივი და დღეს მსოფლიოში არსებული რეალობაც პაპ ფრანცისკეს სწორი პოზიციის მხარდაჭერაა. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ჯერ კიდევ 80 წლის წინ იოანე 23-მ დაიწყო კათოლიკე ეკლესის სოციალური საქმიანობის წინა პლაზე გადმოწევა და ეკლესის ზოგადი ლიბერალიზაცია, რაც შემდგომი პაპების მიერ გაგრძელდა. ამ რეფორმათა შედეგად კი წმიდა საყდარი და კათოლიკე ეკლესია კვლავაც სამყაროს განვითარების ფარვატერში იმყოფება.

P. S. განსაკუთრებული მადლობა მამა აკაკი ჭელიძეს, რომელმაც სულიერი წრთვების მონაწილეებს შემოგვთავაზა მეუფე ჯუზეპეს მიერ მომზადებული სამუშაო ტექსტის „ამ კლდეზე მე...“ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული სპეციალური ბროშურა, რამაც ვარჯიშებში მონაწილეებს კიდევ უფრო გაუადვილა და შთამბეჭდავი გახადა გასააზრებელი მასალების გაცნობა. დაბოლოს, 2024 წლის დიდმარხების უამს, წეროვანის სულიერი წრთვების მონაწილეთა სახელით, მსურს, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ამ შეხვედრის დეგეგმვასა და ჩატარებაში.





ტრადიციულად, ყოველი წლის 19 მარტს, წმიდა იოსების დღესასწაულზე, მთელი საქართველოს კათოლიკე მრევლის ყურადღება მიჰყრობილია ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლისკენ, სადაც წლებით სადღესასწაულო მსახურებას, მესხეთის კათოლიკე მღვდელმსახურებთან და მრევლთან ერთად, აღავლენს მისი ყოვლად მაღალუსამღვდელოესობა, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო. წლევანდელი წელიც არ ყოფილა გამონაკლისი. მრავალრიცხოვან მორწმუნებთან ერთად, საზეიმოდ ჩაიარა ამ სადღესასწაულო მსახურებამ.

არლის წმიდა იოსების ტაძარი, გარდა თავისი კონფესიური კუთვნილებისა და დანიშნულებისა, არის სიმბოლო და თვალნათელი მაგალითი იმისა, თუ რა შეუძლია ადამიანის რწმენას, იმედსა და სიყვარულს. საბჭოთა რეჟიმის დროს, არალში კათოლიკეთა საკრებულოს, ფაქტობრივად, არსებობა არ შეუწყვეტია, ჩამორთმეული ტაძრის სიახლოეს არსებულ მცირე სამლოცველოში მორწმუნები სისტემატურად აღასრულებდნენ სავარდის ლოცვებს, მაშინ როდესაც კათოლიკე მღვდელმსახური მთელ რეგონშიც კი არ იყო. 1987 წელს, როდესაც ოყორეალური მცდელობა, შეთავაზება ოფიციალური მხრიდან, რომ წმიდა იოსების ტაძარს სახელმწიფო

რეგისტრაციას მისცემდნენ, ანუ ოფიციალურად მოქმედი ტაძრის სტატუსს მიანიჭებდნენ, ოლონდ იმ პირობით, თუ იქ მართლმადიდებლური მსახურება აღესრულებოდა, არლელებმა მტკიცე უარი განაცხადეს და არ დაუშვეს კათოლიკურ ტაძარში სხვა კონფესიის მსახურების ჩატარება, რაც, ცხადია, შემდგომ პერსპექტივაში ამ ნაგებობის დაკარგვას გამოიწვევდა. ორიოდ წელიწადში, პრინციპული მოთხოვნების შემდგომ, მაშინდელი საბჭოთა ხელისუფლება იძულებული შეიქმნა არლელი კათოლიკებისათვის ტაძარიც ოფიციალურად დაქრონებინა და მსახურების რეგისტრაციაც მიეცა. როდესაც არლის წმიდა იოსების ტაძართან დაკავშირებულ თითქმის 40 წლის წინანდელ პერიპეტიებს ვიხსენებთ, სამართლიანობა მოთხოვს, პატივი მივაგოთ იმ ადამიანებს, რომლებიც, არცთუ უსაფრთხო ეპოქაში, იბრძოდნენ კათოლიკური ტაძრების დასაცავად, მათგან უპირველესი გახლდათ არლელი ელია ვარდიძე, რომლის გადამდები თავგამოდებისა და პრინციპულობის წყალობით ამოქმედდა არლის, ვალეს, ხიზაბავრის და კიდევ რამდენიმე სოფლის კათოლიკური ტაძარი.

7 აპრილს, მაცხოვრის აღდგომის სწორზე, იმ დღეს, რომელიც კვირაცხოვლობის დღესასწაულის

# ჩვენი ეკლესია თუგზარ ბარდაველიძე

სახელით არის ცნობილი, და რომლის სახელზეც აგებულია ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ივლიტის ტაძარი, მრავალრიცხოვან მრევლთან ერთად, მეუფე ჯუზებებმ აღავლინა სადღესასწაულო მსახურება, თუმცა არა ტაძარში, არამედ სამლოცველო სახლში. დიახ, წლებია ივლიტელ კათოლიკებს სამლოცველოდ გადაკეთებელ ყოფილ საცხოვრებელ სახლში უწევთ ღვთისმსახურების აღვლენა, რადგან 34 წლის წინ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების დაღვევით, უბრალოდ რომ ვთქვათ, წართვა მათ კუთვნილი სატაძრო ნაგებობა და გადასცა დომინანტი ეკლესიის წარმომადგენელ მღვდელს, რომელიც იმუამად, შეთავსებით, რაიონის პრეფექტიც გახლდათ. არადა, ივლიტის ტაძარი 1989 წელს კათოლიკებს, სხვა რამდენიმე ტაძართან ერთად, ოფიციალურად დაუბრუნდათ, მაგრამ მუდმივი კათოლიკე მღვდელმსახურის არყოფნის გამო ზოგიერთი ივლიტელი, პირადი გამორჩენით, სხვა კონფესიის მღვდელმსახურებსაც იწვევდა, რამაც შემდგომ სავალალო შედეგი გამოიღო. წლებია, ამჟამინდელი მფლობელები იქ ყოველგვარი კათოლიკური კვალის წამლას ცდილობენ, თუმცა ივლიტელებისა და საქართველოში კათოლიკების გონიძიდან ამის აღმოგხვრას ვერავინ შეძლებს.

განვლილმა წლებმა აჩვენა, რომ კათოლიკები-სათვის ტაძრების ჩამორთმევას, ან ტაძრის აგების შეფერხებას შედეგი არ მოაქვს. კათოლიკე ეკლესიის სამრევლოები არ ქრება და ყველგან, სადაც კი არიან კათოლიკე მორწმუნები, თუნდაც

მცირერიცხოვანი ჯგუფები, ისინი საკრებულოებსაც აყალიბებენ და, მრავალი წინააღმდეგობის გადალახვის მიუხედავად, ახერხებენ ტაძრების აგებასაც და სამლოცველოების მოწყობასაც. ამის მაგალითები მრავლადაა. ამიტომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან არატოლერანტულ ქმედებებს, რაც ე. წ. პროვინციალური პატრიოტიზმით ინილება, საბოლოო ჯამში, აზრი არ აქვს, მით უმეტეს, რომ ცენტრალური ხელისუფლება მოქმედი რელიგიური გაერთიანებების მიერ სატაძრო ნაგებობების ამოქმედების წინააღმდეგი არ არის.

დაბოლოს, ის სუბიექტური მიზეზი, რის გამოც წინა ათწლეულებში ხელისუფლება ცდილობდა გაემართლებინა თავისი ანტიკათოლიკური განწყობები, ანუ ქართველი კათოლიკე მღვდლების არყოფნა, მორწმუნეთა მცირერიცხოვნება, ხელისუფალთა მტკიცება, რომ მრევლის წევრები სათანადო რესტავრაციას ვერ ჩაუტარებდნენ სატაძრო ნაგებობებს, რომ საქართველოში კათოლიკური ადმინისტრაცია არ არსებობდა, ყველა ეს მოთხოვნა უკვე სამი ათწლეულია, ანუ მას შემდეგ, რაც ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაცია არსებობს, დღის წესრიგიდან მოიხსნა. და ამიერიდან ჯერი ადგილობრივ ხელისუფლებაზეა, დაუბრუნონ კათოლიკე საკრებულოებს, ადგილობრივ კათოლიკე ეკლესიას მათი კუთვნილი ისტორიული მემკვიდრეობა. ევროპელობა ხომ, მოქალაქეთათვის კონფესიური მიკუთვნებულობის მიუხედავად, თანაბარი უფლების დაცვასაც გულისხმობს.



# სახარების სიხარული დღი ეპრაზე...



მსოფლიო ისტორიისა და კულტურის იმ მოღვაწეთა შორის, ვინც ყველაზე მეტად მოახერხა კოლექტურ წარმოსახვაში შეღწევა, თუმცა თეოლოგიურ-რელიგიური ასპექტის მიღმა, ცხადია, ერთერთი არის იესო; ამ თვალსაზრისით კი მნიშვნელოვან სივრცედ გვევლინება კინემატოგრაფი. იესო ქრისტეს მიწიერი და ზემინიერი ცხოვრების მეტ-ნაკლებად სანდო ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების რეკონსტრუქცია, თავისუფალ წარმოსახვებამდე, ღმერთის გმობის ბრალდებამდეც კი, უზღვავი შთაგონების წყაროა რეჟისორებისათვის, რომლებიც, ხშირად დიამეტრალურად საპირისპირო გზებით, დიდი ეკრანის გმირად წარმოადგენენ იესოს: სუპერვარსკვლავად!

ყოველ შემთხვევაში, ასეთი სურათი იქნება, თუკი გადავხედავთ მის შთამბეჭდავ „გამოჩენებს“ დიდ ეკრანზე კინოში, ტელევიზიასა და თეატრალურ წარმოდგენებში (1897 წლიდან დღემდე 200-მდე პროდუქციაზეა საუბარი). აღდგომის უამი, სიხარულის უამი, კარგი პირო-

ბაა იმისათვის, რომ „მოვიგონოთ იესოს პერსონაჟი“, რამდენიმე საუკეთესო ფილმი მის შესახებ, რამეთუ ციფრული საკომუნიკაციო არხების გამოყენება: კინო, ტელევიზია და სხვა, ჩვენი დროის ევანგელიზაციურ საქმიანობასაც ახასიათებს და არა მხოლოდ ახალგაზრდებს.

კინოს დაბადებას ძმებ ლუმიერებს უნდა ვუმადლოდეთ. 1895 წელს მათ პირველი კინოჩვენება გამართეს და უკვე 1897 წელს ფილმიც კი შეიქმნა იესოზე: „ქრისტეს ვნებანი“, ფრანგი რეჟისორის ალბერტ კირხნერ ლეარის (Albert Kirchner Léar) მიერ. სამწეაროდ, ეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი დაიკარგა; იმავე წელს ლუმიერებმა შექმნეს ფილმი „Vue représentant la vie et la passion de Jesus Christ“ (იესო ქრისტეს ცხოვრება და ვნებანი), რომელიც პირველად შობის ღამეს აჩვენეს ლიონში. უორუ მელიესმა (Georges Melies) 1898 წელს გადაიღო ფილმი „Le Christ marchant sur les eaux“ („ქრისტე წყალზე დადის“). იმთავითვე მყარდება კავშირი კინოსა და იესო

ქრისტეს ფიგურას შორის, ეს იმის გამოც, რომ მუნჯი კინოს პერიოდში ქრისტეს ცხოვრება და ვნება ყველასთვის გასაგები იყო. დაიბადა ასევე პირველი ბლოკბასტერები: ერთ-ერთი პირველია ფრანგი ქალი რეჟისორის ელის გი-ბლაშეს (Alice Guy) 1906 წელს გადაღებული ფილმი „La Vie du Christ“ („ქრისტეს ცხოვრება“), რითაც წელ-წელა იკვეთება კინოს ვიზუალური და დიდაქტიკური ჩანაფიქრი. ბლოკბასტერის წინამორბედად გველინება ჯულიო ანტამორო (è Giulio Antamoro), 1916 წელს გადაღებული ფილმით „Cristus“. შემდეგ უკვე გამოჩენდა დიდი სესილ დე მილი (Cecil De Mille), „ათი მცნების“ ავტორი, რომელმაც 1927 წელს გადაიღო „მეფეთა მეფე“. 50-იან წლებში უპირატესობა მიენიჭა ბლოკბასტერებს, როგორიცაა პენრი კოსტერის (Henry Koster) „La tunica“ („კვართი“, 1953 წ.), რომელშიც ცნობილი ამერიკელი მსახიობი რიჩარდ ბარტონი რომაული სასამართლოს მსაჯულის, გალიუსის როლში გამოჩენდება, მათ სათავეში, რომლებმაც ჯვარს უნდა აც-

# საგანგებო ჩანართი



ვან იესო. აქვე გავიხსენოთ ჯორჯ სტივენსი (George Stevens), 1965 წელს გადაღებული ფილმით „The Greatest Story Ever Told“ („ოდესმე მოთხოვბილი ყველაზე დიადი აბ-ბავი“). არის ფილმები, რომელებიც ირიბად ეხებიან ქრისტეს ფიგურას, მაგალითად, ყველაზე ცნობილი „Ben Hur“ („ბენ-ჰური“) ან „Quo vadis?“ („ვიდრე ჰევალ?“). მაგრამ სწორედ 60-იან წლებში დაიწყო განსჯაზე დაფუძნებული ტენდენცია, რომელიც ეჭვქვეშ აყენებდა ქრისტეს, როგორც ლვთის ძეს, და სახარებისეულ უწყებას, ეს ფილმები ვატიკანის მეორე კრების შემდეგ შეიქმნა.

უპირველესად, გამოვარჩევთ ცნობილი იტალიელი მწერლისა და რეჟისორის პიერ პაოლო პაზოლინის ფილმს „სახარება მათეს მიხედვით“ (1964), რომლის დიდასკალიაში ნათქვამია: „იოანე XXIII-ის ძვირფას, ლალ და გულითად მოსაგონებლად“. ეს ფილმი, 40-50-იანი წლების ბიბლიური ბლოკბასტერების მდიდრულობისა და სანახაობრიობისაგან განსხვავდით, საპირისპირო მიმართულებისაა. პაზოლინი ირჩევს რეალიზმის გზას: გადაღების ადგილად Sassi di Matera-ს (Matera-ქალაქი იტალიის სამხრეთში), ირჩევს არაპროფესიონალ მსახიობებს, მთავარ გმირად ცხრამეტი წლის დებიუტანტს ენრიკე ირაზოკის, ესპანელ პარტიზანს, ფრანკოს წინააღმდეგ მებროლს, რომლის სახეც ბიზანტიურ მხატვრობას გვახსენებს; თა-

ვად რეჟისორის დედა ჯვრის ქვეშ მყოფი ღვთისმშობლის როლშია. განზრახ შერჩეული ანაქრონისტული საუნდტრეკი, რომელშიც მოცარტისა და ბაზის მუსიკის განმეორებით გამოყენება ხაზს უსვამს თანამედროვეობის გრძნობასა და ნაწარმოების აშკარად საკრალურ ხასიათს, რომელიც მაყურებელში აღძრავს სახარების ხელახლა წაკითხვის სურვილს, დოგმებისა და წინასწარი განწყობებისაგან სრულიად თავისუფალს; სიტყვაძუნი, მშრალი ფილმი, მათეს სახარებიდან ამოღებული მცირე დიალოგებით, მოკლედ, საჭიროზე მეტი სიტყვის გარეშე: ალბათ სწორედ ამიტომაცაა გამსჭვალული ემოციისა და პოეზიის არაჩვეულებრივი გრძნობით.

კიდევ ერთი ნამუშევარი, რომელმაც სენსაცია გამოიწვია, არის ფილმი „Jesus Christ Superstar“ („იესო ქრისტე სუპერვარსკვლავი“), გადაღებული 1973 წელს ნორმან ჯევისონის მიერ, რომელიც შემდგომ ენდრიუ ლოიდ ვებერმა და ტიმ რაისმა (მუსიკისა და ტექსტის ავტორები) მიუზიკლის ფორმატით გადაიტანეს დიდ ეკრანზე. ფილმმა მაშინვე დიდი წარმატება მოიპოვა და დღესაც აჩვენებენ კინოთეატრებში. მიუხედავად ამისა, როდესაც მათ პირველად მიმართეს თეატრის პროდიუსერებს და წარუდგინეს პროექტი როკ-ოპერისა, რომელიც იესო ქრისტეს ცხოვრების ბოლო კვირას აღწერდა, მათი იდეა „ისტორიაში ყველაზე

საშინლად“ შეფასდა. მიუზიკლი მთლიანად სიმღერაზეა აგებული, მან შეძლო გადმოეცა განცდა და მოთხოვნილება ამერიკისა, რომელიც ჯერ კიდევ სამოცდაათიანი წლების დასაწყისში სექსუალურ რევოლუციას განიცდიდა და მოწმე იყო ვიეტნამის ომის წინააღმდეგ მიმართული პროტესტისა. ჯევინ-სონის ხედვა სრულიად ჰუმანიზებული ხედვაა ქრისტეს ვნებისა, სადაც სახარებისეული ეპიზოდები ერთადერთი მოწმობაა ყოფიერებასთან შეზრდილი ტკივილსა: მარიამ მაგდალელის მწველი სურვილი, იუდას მიერ (კარლ ანდერსონი)



დანაშაულის განცდა, რომელიც ღალატის შემდეგ ანადგურებს მას; თავად იესოს (ტედ ნილი) შინაგანი კონფლიქტი, რომელსაც ახშობს რისვა და იმედგაცრუება, რითაც თავის სიკვდილს ხვდება. დაწყებით სცენაში, როდესაც მსახიობები ჩამოდიან ავტობუსიდან და მზად არიან ფილმში მონაწილეობის მისაღებად, ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია ადამიანურ ტრაგედიაზე ამაღლება, არის მიზანსცენა. ფინალურ სცენაში მოცემული „სუპერვარსკვლავის“ აფეთქება თითქოს ბედისწერას გარდაქმნის, თეოლოგიურ მსჯელობას ცვლის და სვამს კითხვას, თუ რა მოხდებოდა დღეს მისი მსხვერპლის წინაშე. ეს უდავო

გარდამტები მომენტი იყო იესოს ფიგურის კოლექტიურ წარმოსახვაში: ბრნყინვალე და ენერგიული როკ-ოპერა, რომელმიც, ყველაფრის მიუხედავად, აქტუალურია ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა: ვინ არის იესო?

თუკი 70-იანი წლების ფილმში „ქრისტე სუპერვარსკვლავი“ ნაჩენებია ისეთი იესო, რომელიც მსგავსია „ყვავილთა შვილების“, ფრანკ დეფირელის ფილმით „იესო ნაზარეველი“ ტრადიციასთან დაბრუნება მოხდა. შთამბეჭდავი სატელევიზიო დრამა, რომელიც 1977 წელს ხუთ სერიად



აჩვენეს, თითქმის ექს-ნახევარი საათის განმავლობაში, სრულად აღადგენს ქრისტეს ცხოვრებას, შობიდან აღდგომამდე. მინისერიალმა მაყურებლის დიდი მოწოდება დამსახურა თავისი სანახაობრივი და ფრესკული გამომხატველობით, თუმცა ვერ მოიგო კრიტიკოსთა გული, რომელმაც ძეფირელის საყვედურობდნენ ჰოლოგრაფიული სტილისა და სახარების ნამდვილი არსის გადმოუცემლობის გამო. თუმცა ძეფირელი მკაფიოდ ასახავს რეალისტურ და ადამიანურ ასპექტებს, განსაკუთრებით მოციქულთა და პეტრეს ფიგურის ჩვენებით. ქრისტეს როლს ინგლისელი მსახიობი რობერტ პაუელი თამაშობს, ხოლო მარიამის

როლს ოლივია ჰასი ასრულებს; მაგრამ ის, რაც უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს, არის მსახიობთა ჯგუფი, მათ შორის, ენ ბანკროფტი, მაიკლ იორკი, პიტერ უსტინოვი, კრისტოფერ პლამერი, ვალენტინა კორტეზე, ლოურენს ოლივიე, ჯეიმს მეისონი, კლაუდია კარდინალი, როდ სტაიგერი, ენტონი ქუინი, იან ჰოლმი....

კიდევ ერთი ეტაპი, რომელმაც შეძლო ქრისტეს ფიგურის დაბრუნება მედიის ყურადღების ცენტრში, იყო მეღ გიბსონის „ქრისტეს ვნებანი“ (2004): იესოს ყველაზე საკამათო, მაგრამ ასევე ყველაზე წარმატებული პორტრეტი კინემატოგრაფიის ანალებში. სიუჟეტი ვითარდება ქრისტეს ჯვარცმისა და სიკვდილის დღეს. ფილმი უკიდურესი რეალიზმით ასახავს იესოს წამებას: დაწყებული ძველ არამეულ ენაზე წარმოთქმული სიტყვებით, გოლგოთის განსაცდელისა და იესოს სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე. ეს მართლაც უჩვეულო და გაბედული ნაბიჯი იყო, რამაც გამოიწვია დებატები და დაპირისპირება. რეჟისორული ნამუშევარი, რომელშიც უმძიმესი განცდები და შუქის ილუზორული კრთომა ერნყმის პაროქსიზმულ ძალადობას, გადმოცემულს შემზარავი დეტალებით, ჯერ კიდევ იწვევს დისკუსიასა და აზრთა პოლარიზაციას, რაც ამტკიცებს, თუ როგორ რჩება ხელოვნების სფეროს მუდმივ ამოცანად სახარების ინტერპრეტაცია და როგორ შეუძლია გამოიწვიოს სრუ-

ლიად განსხვავებული რეაქციები. ჯეიმზ კევიზელი, იესოს როლის შემსრულებელი, აღნიშნავს, რომ ეს იყო „მის ცხოვრებაში უნიკალური შესაძლებლობა“. როლზე მუშაობისას იგი ყოველდღე ეს-წრებოდა წმიდა წირვას და ყოველდღიურად ლოცულობდა სავარდს. მსახიობის თქმით, ჯვარცმის სცენის გადაღების წუთებში, ყოველთვის იმყოფებოდა მღვდელი ხელში უშმიდესი ევეკარისტით. ჯვარზე გაკვრის დროს ამოვარდნილი მხარი მასში წამდვილ ტკივილს იწვევდა. გამოლტვის სცენის გადაღებისას, მას შეცდომით ორჯერ მოხვდა მათრახი, რამაც 14 სმ სიგრძის ჭრილობა მიაყენა, ამას დაემატა პნევმონია და ჰიპოთერმია. ეს მისთვის უფრო მეტად იყო ფიზიკური, გონებრივი და სულიერი გამოწვევა, ვიდრე არტისტული. რეჟისორმა მათ, ვინც ადანაშაულებდა, რომ ჯვარცმის სცენა უხეშად და სასტიკად იყო ნაჩენები, ასე უპასუხა: „დიახ, სასტიკი, მაგრამ არა მომაკვდინებელი ცოდვა“.

ამასბაში, ეკრანზე გამოჩნდა სხვა ფილმებიც: დამიანის „გამოძიება“; როსელინის „მესია“; დალატრის „ედემის ბალები“ (იესოს ყველაზე ფარული წლების შესახებ); სკორსუზეს სკანდალური ფილმი „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება“. არც ულირსი წანარმოებების ნაკლებობა იყო, მაგალითად, მონტი პითონის (Monty Python) „ბრაიან ნაზარეველი“.

ბოლო წლებში, ფაქტობრივად, ისევ მიუბრუნდნენ იესოს ვნების



# საგანგებო ჩანართი


შესახებ ფილმების გადაღებას, მათ შორის, აღსანიშნავია ორი: ლეს მაუესკის „ვნების ფერები“ (2012), ძალიან დახვეწილი და ღრმა ნა-მუშევარი, დაფუძნებული პიტერ ბრიუგელის ნახატზე „ასვლა გოლ-გოთაზე“, რომელშიც მხოლოდ ცოტა თუ ამჩნევს კაცობრიობის ისტორიაში ფუნდამენტურ მოვლენას. დაბოლოს, კევინ რეინოლდსის „აღმდგარი“ (2016). მაღტასა და ესპანეთში გადაღებული ფილმი იწყება მნიშვნელოვანი ტრიბუნის - კლავიუსის პერსონაჟის ჩვენებით. სწორედ მას დაევალა, რომ სა-მარხიდან არ მოეპარათ ქრისტეს სხეული. იქსოს როლს ასრულებს კლიფ კერტისი, მავრული წარმო-შობის ახალზელანდიელი მსახიობი: მუქი თმითა და სახის ფერით იგი ჰგავს ებრაელი ხალხის ტიპს. ფილმი გათვლილია ყველასთვის (მაღალი შეფასება მისცეს ახალგაზრდებმა), რადგან იქსოს

პიროვნება ყველა დროის ადამი-ანში აჩენს კითხვებს: კლავიუსი ესაუბრება იქსოს, იზიდავს მისი პიროვნება და, ამავე დროს, გულ-შეძრული და შეშინებულია.

ორიოდე სიტყვა ამერიკულ სატელევიზიო სერიალზე „The Chosen“ („რჩეული“), რომელიც 2019 წლიდან ამერიკული და მსოფლიო საზოგადოების ყუ-რადების ცენტრში დგას და წარმატებას იხვეჭს. ვარაუდობენ, რომ ორას მილიონზე მეტმა ადა-მიანმა ნახა მისი ნაწილი მაინც. ფილმი, რომლის შვიდი სეზონიდან მეოთხე გამოვიდა, ყველაზე და-ფინანსებული აუდიოვიზუალური პროექტია ისტორიაში, რადგან თავად თაყვანისმცემლებს შეუ-ძლიათ მონაწილეობა მიიღონ წარ-მოებაში შემოწირულობით. ფილმი სახარებებს ეფუძნება, მაგრამ დიდ ფანტაზიასაც მიმართავს, იგი სრულიად ახლებურად წარ-

მოგვიდგენს ქრისტეს ამქვეყნიურ ცხოვრებას (და ყრმობის ზოგიერთ დეტალს), იქსოს (მის როლს ასრუ-ლებს ჯონათან რუმი, კათოლიკე მსახიობი, მამით ეგვიპტელი), რო-გორც რეალურ ადამიანს, ნამდვილ მეგობარს, ადამიანური სითბოთი სავსეს, თავისი ღონემიხდილობით, სილალით და სახით, კვართზე აღ-ბეჭდილი კაცის სახეს რომ ჰგავს, „perfectus Deus, perfectus homo“ შორის სინთეზის ძიებაში.

რა იქნება შემდეგი ფილმი იქსოს შესახებ? პაზოლინის ფილ-მის გადაღებიდან 60 და გილ-სონის ფილმის 20 წლის შემდეგ, ელოდებიან მარტინ სკორსეზეს, რომელმაც, ვატიკანში პაპ ფრან-ცისკესთან აუდიენციის (2023 წლის 23 ივნისი) შემდეგ, განაცხადა: „მე ვუპასუხე პაპის მიმართვას ხე-ლოვნების სამყაროსადმი ჩემთვის ცნობილი ერთადერთი საშუალე-ბით: წარმოვიდგინე და დავწერე ფილმის სცენარი იქსოს შესახებ“. გადაღები, სავარაუდოდ, ამ წლის ბოლოს დაიწყება. ეს ფილმი იქნება მოკლემეტრაჟიანი, მხოლოდ 80 წუთი. ამოსაგალ წერტილად აღ-ბულია სიუსაკუ ენდოს (Shūsaku Endō) წიგნი „იქსოს ცხოვრება“, იგი არის ავტორი ფილმისა „სიჩუმე“ (1966), იაპონიაში იქზუიტი მისიო-ნერების შესახებ, რომელიც თავად სკორსეზემ გადაიტანა დიდ ეკრან-ზე. განსაკუთრებით საინტერესოა მოტივაცია კათოლიკე სკორსეზე-სი, რომელსაც არ ეშინია დადგეს რელიგიის მხარეს ისტორიულ ეპო-ქაში, როდესაც მთელ მსოფლიოში ძლიერდება ქრისტიანთა დევნა: „მე ვცდილობ... ჩამოვაშორო ის ნეგატიური ტვირთი მას, რაც უკა-ვშირდება ორგანიზებულ რელი-გიას“, გაიხსენეთ ქრისტეს თავდა-ბირველი გზავნილი: „მოდით, ვიფიქროთ ამაზე. თქვენ შეიძლება უარყოთ ეს. მაგრამ ამან შესაძლოა შეცვალოს თქვენი ცხოვრება, თუნ-დაც უარყოფდეთ მას. მხოლოდ ეს მინდა ვთქვა“. და ამას ვამბობ რო-გორც ადამიანი, რომელსაც სულ რამდენიმე დღეში 81 წელი შეუს-რულდება. გამიგეთ!“



## დემოტრე თბილების ნეტარად შერაცხვის პროცესი დაწყებულის

მიმდინარე წლის 9 აპრილი კიდევ ერთ გამორჩეულ თარიღად დარჩება ადგილობრივი კათოლიკე ეკლესიის ისტორიაში. თბილისის საკათედრო ტაძარში შეკრებილი სასულიერო პირები და მრევლის წევრები ნამდვილად ისტორიული მომენტის მონაწილენი გავხდით, აქამდე, საქართველოში ლათინური წესის კათოლიკე ეკლესიის არსებობის მთელ მანძილზე, მსგავსი მოვლენა არ მომხდარა. საქართველოსა და სრულიად სამხრეთ კავკასიის ადგილობრივი კათოლიკე ეკლესიის წევრები აქამდე მხოლოდ რიტუალური პროცესების მონაბეჭდი და მონაწილენი ვიყავით, მაგრამ ამ დღეს სამოციქულო ადმინისტრატორის, მეუფე ჯუზეპეს ლოცვა-კურთხევითა და ძალისხმევით და წმიდა საყდრის გადაწყვეტილებითა და თანხმობით, დაიწყო XIV საუკუნის მონაშის, დემეტრე თბილელის ბეატიფიკაციის (წეტარად შერაცხვის) პროცესი. ცხადია, კათოლიკე ეკლესიის სინამდვილეში უჩვეულო არაფერია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ძველად და ახლაც, ადამიანების წეტარად ან წმიდანად შერაცხვა ეკლესიის ცხოვრების თანმდევი პროცესია, მაგრამ სამხრეთ კავკასიის რეგიონის კათოლიკეთათვის ეს პირველი და ამიტომაც გამორჩეული პრეცედენტია.

საკათედრო ტაძარში საგანგებო მსახურება მეუფე ჯუზეპემ, სხვადასხვა ტაძრის მღვდელმსახურებთან და მრევლის წარმომადგენლებთან ერთად, ჟამნის ლოცვით დაიწყო, რის შემდეგაც ეპისკოპოსმა საზეიმოდ გახსნა დემეტრე თბილელის ბეატიფიკაციისადმი მიძღვნილი პირველი ისტორიული სესია, რომელიც ძირითად ორგანიზაციულ საკითხებს მიეძღვნა, განისაზღვრა ბეატიფიკაციის შემდგომი პროცესის სამართლებრივი ჩარჩოები, მასში მონაწილეთა ლეგიტიმაციური უფლებები.

სესიის დაწყების წინ მეუფე ჯუზეპე პაზოტოს წინაშე წარდგა მამა პაატა ქომოშვილი, რომელმაც ეპისკოპოსს წარუდგინა მცირე ძმათა ორდენის გენერალური პოსტულატორის მანდატი, რომლის თანახმადაც მამა პაატა ლეგიტიმურად დანიშნულია ვიცე-პოსტულატორად. ასევე, გენერალური პოსტულატორი ითხოვს, რომ დაიწყოს ეპარქიული გამოძიება ღვთისმსახურთა: დემეტრე თბილელის, მცირე ძმათა ორდენის მონესე მღვდელ-მონაზონთა მონამეობის მონესე მღვდელ-მონაზონთა მონამეობის (+13216.) აღიარებისა და კულტის დადასტურების საქმის შესახებ.

აღიარების დადასტურების საქმის შესახებ.

სპეციალური ტრიბუნალის პირველი სესიის დასაწყისში წაკითხულ და გაცხადებულ იქნა ლათინ კათოლიკეთა კაგასის სამოციქულო ადმინისტრატორის, ჯუზეპე პაზოტოს განჩინებები: განკარგულება ღვთისმსახურთა: დემეტრე თბილელის, მცირე ძმათა ორდენის მონესე ბერის, ჯაკომო პაზულელისა და ბეტრე სიენელის, მცირე ძმათა ორდენის მონესე მღვდელ-მონაზონთა მონამეობის (+13216.) აღიარებისა და კულტის დადასტურების საქმის შესახებ; ასევე წმიდანთა საქმეების დიკასტერიის მიერ დამტკიცებული დეკრეტი სპეციალური ტრიბუნალის შექმნის შესახებ, რომელიც თავად ეპისკოპოსის ხელმძღვანელობით იმუშავებს. წარდგენილ იქნება: საეპისკოპოსო დელეგატად - ლირსი მამა გაბრიელე ბრაგანტინი **CS;** სამართლის დამცველად - ლირსი მამა მიხეილ სურმავა; სააქტო წოტარიუსად - ლირსი მამა ზურაბ კაკაჩიშვილი; მთარგმნელად - ბატონი შოთა გიქოშვილი. მომდევნო დეკრეტით ეპისკოპოსმა დაამტკიცა საისტორიო კომისია შემდეგი შემადგენლობით: პრეზიდენტი: პროფესორი ულადერიკო პარენტე; ექსპერტები: ძმა პიეტრო მესა და პროფესორი ფრანკო კაზადიდიონი. ისტორიული ექსპერტების ამოცანა იქნება, მოიძიონ და შეაგროვონ ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა ისტორიული დოკუმენტი, როგორც ხელნაწერი, ასევე დაბეჭდილი, და შეადგინონ ერთიანი მყარი ანგარიში.

ურნალ „საბას“ სპეციალური კორესპონდენცი



## პრეზიდენტი მაჟისტრი მოესახება



ყოფილი მუსლიმი, საუდის არაბეთიდან, წარმოშობით ქალაქ ჯიდადან, ქრისტიანად მოექცა. ცნობილი მიკრობიოლოგი, დოქტორი ჰალიდ ალ-შამრი დღეს ქრისტეს უქადაგებს მუსლიმებს.

„მებო და დებო, დაე, გაკურთხოთ უფალ-მა! როგორც ხედავთ, ეს წყალობა მებოძა ჩვენი უფლისა და მხსნელის, იესო ქრისტეს მიერ: მან დაიპყრო ჩემი გული თავისი სიყვარულით, მე ვიპოვე იგი, ახლა მივყვები მას და არასდროს მივატოვებ. იესო არის ალფა და ომეგა; იესომ დამიცვა საუდის არაბეთში, იორდანიაში, როცა ლტოლვილი ვიყავი და, რაც მთავარია, უფალმა მიხსნა მარადიული სიკვდილისაგან. ვსარგებლობ შემთხვევით, რათა მადლობა გადავუხადო იესოს ჩემდამი, ჩემი ოჯახისა და ჩემი ხალხისადმი სიყვარულისათვის. უფალმა ღმერთმა დალოცოს ყოველი ქრისტიანი მთელ მსოფლიოში! გთხოვთ, ყოველდღე ილოცოთ ჩემი ხალხისათვის, რათა მათაც შეიცნონ ჭეშმარიტება იესო ქრისტეს მეშვეობით“, - აღნიშნავს დოქტორი ჰალიდი.

ოცდაცამეტი წლის განმავლობაში ჰალიდ ალ-შამრი ისლამის ერთგული მიმდევარი იყო. თუმცა, როგორც მეცნიერი, ის სვამდა კითხვებს. ამ კითხვებმა მიკრობიოლოგი საბოლოოდ იესო ქრისტეს რწმენამდე მიიყვანა.

დღეს დოქტორი ჰალიდ შამრი ამონმობს ქრისტეს მრავალი ადამიანის წინაშე. მან წარჩინებით დაამთავრა მეფე აბდულ აზიზის სახელმძის უნივერსიტეტი საუდის არაბეთში და მიიღო მაგისტრის ხარისხი მიკრობიოლოგიაში. იგი უნივერსიტეტში სწავლობდა ემბრიოლოგიას.

„ყურანში (სურა 23, 14) მოხსენიებულია ჯერ ძვლები, შემდეგ ხორცი. როგორც ემბრიოლოგმა, ვიცოდი, რომ ეს მეცნიერულად არასწორი იყო, მაგრამ ამას ყურადღება არ მივაქციე“, - აღნიშნავს ექიმი ჰალიდი. მაგრამ მოგვიანებით, ბიბლიის კითხვისას, მეცნიერმა, თავისდა სასიხარულოდ, იპოვა ეს მონაკვეთი იობის წიგნში: „ტყავით და ხორცით შემმოსე, ძვლებითა და ძარღვებით მომქსოვე“ (იობ. 10, 11).

1997 წელს, ქორწინების შემდეგ, ჰალიდი გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში თაფლობისთვის გასატარებლად. სწორედ იქ მიიწვიეს იგი პირველად ეკლესიის მოსანახულებლად. ცნობისმოყვარეობის გამო მეცნიერმა გადაწყვიტა შესულიყო ტაძარში, სადაც იგი წარუდგინეს მისიონერებს, რომელთაც მას ურჩიეს: „ილოცეთ ამ სიტყვებით: უფალო, გვიჩვენე ჭეშმარიტება და მოგვეცი გამბედაობა, რომ მივიღოთ ის. გვიჩვენე ბოროტება და მოგვეცი ძალა, რომ თავიდან ავი-

# სახარების სიხარულის მოწვევი ვარიკო ნოზაძე

ცილით იგი“. ჰალიდი შეუდგა ამგვარად ლოცვას.

„თაფლობისთვის შემდეგ დავბრუნდი საუდის არაბეთში. მალე სიზმრად გამეცხადა, რომ იქსო არის ძე ღვთისა და მხსნელი. მაგრამ ამის მიღება რთული იყო, მე ხომ იმ დროს ოცდაცამეტი წელი მუსლიმი ვიყავი. გადავწყვიტე წამეკითხა ბიბლია: შევედი ინტერნეტში და საიტიდან გადმოვწერე წმიდა წერილი. ღვთის სიტყვაში უდიდესი ძალა ვიგრძენი. ახალი აღთქმის კითხვისას შევამჩნიე მაში მითითებები ძველ აღთქმაზე. საოცარია, რომ ძველი აღთქმის ყველა ეს ადგილი საუბრობდა მაცხოვრის დედამინაზე მოსვლაზე! ბიბლიას დაახლოებით რვა-ცხრა წელი ვკითხულობდი. ის ისეთი ლამაზია, რომ არასოდეს ვისურვებდი მასთან განშორებას“, - აღიარებს მეცნიერი.

დოქტორ ჰალიდს, რომელმაც წარსულში ყურანის სამი მეოთხედი ზეპირად ისწავლა, ყოველთვის ებრაულებოდა ქრისტიანები: მან იცოდა, რომ თუმცა ისინი ძალიან კარგი ადამიანები იყვნენ, მაგრამ

„უსათუოდ ჯოჯოხეთში მოხვდებოდნენ“, - ამას ასწავლის ყურანი და სწორედ ასე ასწავლიდნენ ისლამურ სკოლაში. „მას შემდეგ, რაც შევიცანი იქსო, რომ იგი იყო ჩემი მხსნელი, ახალ აღთქმაში ჯვარზე ქრისტეს ვნების შესახებ კითხვისას, სულინმიდამ განმიცხადა, რომ იქსო მოკვდა ჩემი ცოდვებისათვის, თუმცა სწორედ მე უნდა მოვმკვდარიყავი საკუთარ ცოდვათა გამო“, - აღნიშნავს იგი.

ჰალიდ ალ-შამრის მთელი გულით სურს, ყოველმა მუსლიმმა შეიცნოს უდიდესი ჭეშმარიტება: რომ ქრისტე მოკვდა კაცობრიობის ცოდვებისათვის და რომ ის არის მარადიული ხსნის ერთადერთი გზა. ქრისტიანად მოქცევის შემდეგ დოქტორ ჰალიდის გული მხოლოდ იქსოს ეკუთვნის. დღეს ის ტელეკომპანია „Al Hayat“-ის ერთ-ერთი წამყვანია და სახარებას ქადაგებს ჰიჯაზის პროვინციის დიალექტზე. ასევე ლოცულობს საუდის არაბეთისათვის.



## შეძლებს თუ არა ყველა ეკლესია აღდგომის აღნიშვნას ერთსა და იმავე დღეს?



მიუხედავად იმისა, რომ უკრაინაში გაჩაღებულმა ომმა ქრისტიანებს შორის დიალოგი კიდევ უფრო მეტად გაართულა, ეკუმენური ვალდებულება მაინც აქტუალურია და 2025 წელს რელი რელი შესაძლებლობად უნდა ჩაითვალოს, ნიკეის პირველი კრების (325) საიუბილეო თარიღის აღნიშვნიდან გამომდინარე; ამ მოვლენის ძირითად თემად შერჩეულ იქნა აღდგომის საერთო თარიღის დადგენა, მით უმეტეს, რომ მომავალ წელს აღდგომა ყველა ქრისტიანისათვის ერთსა და იმავე დღეს - 20 აპრილს აღინიშნება.

ამის შესახებ არაერთხელ ისაუბრა პაპმა ფრანცისკემ და ამ გაყოფას სკანდალიც კი უწოდა, ისევე როგორც კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქმა ბართოლომეოს I-მა. მართლმადიდებელი ლიდერი ამ საკითხს კვლავ დაუბრუნდა 31 მარტს, სტამბოლში საღმრთო წირვის დასასრულს, როდესაც მორნმუნებს მოუწოდა, რომ „ევედრონ უფალს, რათა მომავალ წელს აღდგომის ერთად აღნიშვნა იყოს არა უბრალო ბედნიერი დამთხვევა, შემთხვევითი მოვლენა, არამედ დასავლური ქრისტიანობისთვის საერთო თარიღის დადგენის დასაწყისი, რადგან 2025 წელს აღინიშნება ნიკეის პირველი მსოფლიო კრების 1700 წლის იუბილე, რომლის მსვლელო-

ბისას, სხვადასხვა საკითხთან ერთად, აღდგომის აღნიშვნის დროის რეგულირების საკითხიც განიხილებოდა. ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი, რადგან ორივე მხრიდან გამოხატულია მზაობა და კეთილი ნება, რადგან ერთი უფლის აღდგომის უნიკალური მოვლენის ცალკე აღნიშვნა სკანდალია“.

როგორც ცნობილია (იმავეს აცხადებს ქრისტიანული ერთიანობის დიკასტერია 2022 წლის 27 ოქტომბრის ჩანაწერში), ნიკეაში დადგინდა წესი, რომლის თანახმადაც „ყველა ჩვენი აღმოსავლელი და-ძმა, რომლებიც დღემდე ებრაელებთან ერთად აღნიშნავდნენ აღდგომის დღესასწაულს, ამიერიდან ისინი აღნიშნავენ აღდგომის დღესასწაულს რომაელებთან თანხმობით, თქვენთან ერთად და ყველა ჩვენგანთან, ვინც ამ თარიღს თქვენთან ერთად აღვნიშნავდით პირველივე უმიდან“.

კონკრეტულად, თარიღად შეირჩა გაზაფხულის პირველი საცემთვარეობის მომდევნო კვირა. ვინაიდან გადაწყდა, რომ აღდგომა უნდა აღნიშნულიყო ებრაული ფესახის დღესასწაულის შემდეგ, ქრისტიანებსა და იუდევლებს შორის პასექის საერთო თარიღი გაუქმდა. შემდგომ, XVI საუკუნეში, შემოღებულ იქნა გრეგორიანული კალ-

# ეკუმენური გვერდი ააა გაპრიელე პრაგატიციი

ენდარი პაპ გრეგორიუს XIII-ის მიერ, რომელმაც მოახდინა იულიუსის კალენდრის (გამოქვეყნებული იულიუს კეისრის მიერ) რეფორმა, რომელსაც აღმოსავლეთში მაინც მრავალი მიმდევარი ჰყავდა.

ამან გამოიწვია თარიღების შეუსაბამობა, ასე მაგალითად, 2024 წელს კათოლიკებმა და ევანგელისტებმა ქრისტეს აღდგომა აღნიშნეს 31 მარტს, ხოლო მართლმადიდებელი ეკლესიები 5 მაისს აღნიშნავენ (რეალურად 23 აპრილს, იულიუსის კალენდრით). „უმარტივესი გამოსავალი, - აცხადებს ქრისტიანთა ერთიანობის დიკასტერია, - უდავოდ იქნებოდა ის, რომ იესოს სიკვდილის დღედ აღებულიყო 7 აპრილი (ქრისტეშობიდან 30 წელი), იმგვარად, რომ აღდგომა ყოველთვის აღნიშნულიყო აპრილის მეორე კვირას.“

ეკლესიათა მსოფლიო საბჭომ შესთავაზა, რომ აღდგომა აღნიშნულიყო გაზაფხულის პირველი სავსემთვარეობის მომდევნო კვირას; ამ შემთხვევაში, სავსემთვარეობის დადგენის ორიენტირი უნდა იყოს ქალაქი იერუსალიმი. ასევე საყურადღებო და გასათვალისწინებელია მსოფლიო პატრიარქის, მელეთიოს IV-ის (1921-1923) აზრი, რომელიც აღიარებდა და ეთანხმებოდა გრეგო-

რიანული კალენდრის სიზუსტეს და, ამავე დროს, პატივს სცემდა პირველი ეკლესიის მიერ დადგენილ აღდგომის თარიღს.

ამ თემას ვატიკანის მეორე კრებაც შეეხო, წმიდა ლიტურგიის შესახებ კონსტიტუციის „Sacrosanctum Concilium“ (1963) დამატებაში. აქ მითითებულია ორი კრიტერიუმი ახალი თარიღის დასადგენად. „წმიდა კრება არ არის წინააღმდეგი, რომ აღდგომის დღესასწაული კვირის გარკვეულ დღეს დაწესდეს გრეგორიანულ კალენდარში“, ოღონდ „თუ თანახმანი არიან ისინი, ვისაც ეს საკითხი ეხება, უპირველეს ყოვლისა, ძმები, რომლებიც სამოციქულო საყდართან ერთობისგან გამოცალკავებულნი არიან“.

მეორეც, წმიდა კრება ასევე განაცხადებს, რომ ის არ ეწინააღმდეგება „სამოქალაქო საზოგადოებაში მუდმივი კალენდრის შემოღებას“, ცხადია, იმ პირობით, რომ ხელუხლებლად შეინახავენ და დაიცავენ შვიდდღიან კვირეულს კვირადღით.

მაგრამ განა უფრო ადვილი არ იქნებოდა გრეგორიანული კალენდრის რეფორმის მიღება, რითაც ყველა პრობლემა მოგვარდებოდა? თუმცა ჯერჯერობით ეკლესიის წინამძღოლთაგან არანაირი პასუხი არ არის...



## ეპლთა სტატუსის კომისიის ლონისძიება მარწომი

19 მარტს გაეროში წმიდა საყდრის მუდმივი და მკაფიოვებელი მისიასა და Caritas Internationalis-ის მიერ ორგანიზებული იყო ღონისძიება თემაზე „რწმენაზე დაფუძნებული ორგანიზაციების როლი ქალთა ლიდერობის განვითარებაში“. პანელის სხვა მონაწილეებთან ერთად, სიტყვით გამოვიდა საქართველოს კარიტასის აღმასრულებელი დირექტორი ანაპით მხოიანი. დისკრიმინაციაზე საუბრისას, მან ხაზი გაუსვა ადგილობრივი კონტექსტისა და კულტურის სწორად აღქმის მნიშვნელობას, რათა მდგრადი ცვლილებების უზრუნველყოფა უფრო რეალური გახდეს: „ჩვენ უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ ადგილობრივები თავიანთი რეალობის მესაკუთრები არიან“. ქალბატომა ანაპით მხოიანმა აღნიშნა, რომ რწმენაზე დაფუძნებულმა ორგანიზაციებმა შინაგანად უნდა შექმნან კანონებისა და რეალობის პროტოტიპები, რომლებიც გვინდა ვიზილოთ გარე სამყაროში. ჩვენ უნდა შევქმნათ გარემო, სადაც თანაბრად ჩავდებთ ინვესტიციას ქალებსა და მამაკაცებში.

Caritas Internationalis-ის მჭიდრო კავშირები ადგილობრივ, ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე, ადგილობრივ ეკლესიებთან და რელიგიურ ლიდერებთან ერთად, საშუალებას აძლევს მას

ეფექტურად გადაჭრას სილარიბის ფემინიზაცია პროექტებისა და პროგრამების მეშვეობით, რომლებიც აკმაყოფილებენ ქალების, გოგონებისა და თემების საჭიროებებს. დღეს მსოფლიოში ათობით მიმდინარე კონფლიქტი და საგანგებო სიტუაციაა. ამ კონტექსტში კი ქალები და გოგონები არიან განსაკუთრებით მოწყვლადები, განიცდიან ცალსახა ზემოქმედებას და დგანან განსაკუთრებული რისკებისა და გამოწვევების, მათ შორის, ტრეფიკინგისა და ძალადობის ნინაშე. ქალთა უნარები და შესაძლებლობები არის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პრობლემების გადასაჭრელად, თუმცა ძალიან ხშირად მათ არ აქვთ საშუალება, რომ იყვნენ ჩართულები ლიდერობასა და გადაწყვეტილების მიღებაში.

ანაპით მხოიანი იმედოვნებს, რომ მამაკაცები და ქალები, ბიჭები და გოგონები ისარგებლებენ იმავე უფლებებითა და შესაძლებლობებით, რაც შექმნის დადებით და ხანგრძლივ დინამიკას. „ქალების მონაწილეობის ნახალისების“ ნაცვლად, მან ისაუბრა ისეთი გარემოს შენების აუცილებლობაზე, რომელიც თავის თავში მოიცავს ქალთა მონაწილეობას: „ეს არის ერთად ცხოვრება. ეს არის ერთობლივი მომავლის შექმნა“.



## ნიკოდემოსი - იესოს მოწაფე

სინოპტიკური (მათე, მარკოზი, ლუკა) განსხვავებით, იოანე მოგვითხრობს ებრაელ დიდგვაროვან კაცზე, სახელად ნიკოდემოსზე, რომელიც იყო სინედრიონის წევრი (იოან. 3, 1-21). ცნობილია მისი ღამეული შეხვედრა იესოსთან. ღამით მისვლა გვაფიქრებინებს შიშზე თანამოძმე იუდეველთა მიმართ, ხოლო სიტყვები, რომლებსაც ის წარმოთქვამს, მეტყველებს იმაზე, თუ რა ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე იესოს. ნიკოდემოსი წარმოგვიდგება როგორც რჯულის დამცველი, წრფელი, მართალი ფარისეველი, რომლისთვისაც უცხოა მისი მრავალი თანამედროვე ფარისევლის მენვრილმანე მენტალიტეტი, თუმცა ატარებს ნაციონალისტი მესიის მოლოდინის გავლენის ნიშნებს. მაცხოვარი საუბარში უარყოფს ამ მცდარი წარმოდგენის პუნქტებს: ღვთის სასუფეველი სულიერი ბუნებისაა და ამიტომ მასში შესასვლელად სულიერი აღორძინება, ხელახლა დაბადებაა საჭირო; ეს არ

არის ებრაელი ერის პრივილეგია; მესია თავის მისიას ტანჯვითა და ჯვარზე სიკვდილით აღასრულებს. ღამეს იოანე მახარებელთან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ნიკოდემოსი - ღამე, იესო -ნათელი, ღამე, რომელიც მიდის ნათელთან, რათა ნათლისაგან მიიღოს ნათელი, რომელიც ბნელში ანათებს. ნიკოდემოსის საუბარი იესოსთან შევიძლია გავიგოთ მხოლოდ პასექის კონტექსტში, მართლაც, ეს საპასუხო კატექეზაა, ღამით მისვლა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იოანე ხაზგასმით აღნიშნავს „პასექის ღამე იყოო“.

ნიკოდემოსი მოხსენიებულია როგორც ებრაელთა „მთავარი“ ან „მეთაური“, ეჭვგარეშეა, ამ სიტყვებში ნაგულისხმევია კეთილშობილი ან პატივცემული ადამიანი. ნიკოდემოსი, როგორც არისტოკრატიის წარმომადგენელი, იყო სინედრიონის წევრიც (იოან. 7, 50), ცნობილი თავისი განსწავლულობით, მოძღვრებით, ის იყო „მოძღვარი ისრაელში“ (იქვე 3, 10). იგი დარჩა იესოს თანამგრძნობად, მაგრამ ვერ გაბედა ღიად გამხდარიყო მისი მონაფე, თუმცა, მოგვიანებით, როდესაც ფარისევლებსა და მღვდლებს შორის გაიმართება მსჯელობა იმაზე, თუ როგორ მოიშორონ თავიდან იესო, ნიკოდემოსს აღმოაჩნდება გამბედაობა იესოს დასაცავად: „განა განიკითხავს ჩვენი რჯული ადამიანს, თუ წინასწარ არ მოუსმინა და არ გაიგო, რა ჩაიდინა მან?“.



ეს სიტყვები საკმარისი იყო, რათა გაელიზიანებინა მისი კოლეგები, რომლებმაც მიუგეს: „შენც გალილეიდან ხარ? გამოიკვლიე და ნახე, რომ გალილეიდან წინასწარმეტყველი არ აღდგება“ (იოან. 7, 50).

ნიკოდემოსი არ ჩანს მეცხრამეტე თავამდე (იოან. 19, 38-42), შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მას აშინებს თავისი პოზიციის დაკარგვა საზოგადოებაში, რის გამოც ჩრდილში რჩება. თუმცა ნაზარეველი მოძღვრის ალსასრული მისთვის უცნობი ვერ დარჩებოდა, და როდესაც ყველა მონაფე მიმოიფანტა, მას ვხედავთ გოლგოთაზე ყველაზე ერთგულთა მცირე ჯგუფში. იოსებ არიმათიელთან ერთად, რომელიც აგრეთვე იყო იესოს ფარული მონაფე, ნიკოდემოსმა პილატეს სთხოვა იესოს გვამი, რომელიც დაასვენეს სამარხში. იგი მოიტანს ას ლიტრა (დაახლ. 32 კგ) ძვირფას ნელსაცხებელს და, როგორც დიდგვაროვანს შეეფერება, ისე დაკრძალავს იესოს. ნამდვილი მონაფის ხატად გვევლინება ნიკოდემოსი, რომელიც გადის გრძელ, თუმცა სავალდებულო გზას და თითოეულ მორწმუნებს შეგვასხვებს, რომ ასევე გვმართებს მოძღვართან გულითადი საუბრითა და ურთიერთობით დავანებოთ ღვთის მადლს ჩვენში მოქმედება, მონაფის ჩამოყალიბება ხომ წმიდა სულის ქმედების ნაყოფია და არა თავად ჩვენი ძალისხმევის შედეგი.



## წმიდა იოსების ბისკვიტი

წმიდა იოსებს კათოლიკე ეკლესია მოიხსენიებს წელიწადში ორჯერ: 19 მარტს, როგორც უწმიდესი ქალწული მარიამის მეუღლეს, და 1-ელ მაისს, როგორც იოსებ მშრომელს.

ყოველწლიურად იტალიაში წმიდა იოსების დღეს აღნიშნავენ ტკბილეულით, რომელიც სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვაგვარია. მაგალითად, კამპანიაში აცხობენ ნამცხვარს, სახელწოდებით Zeppola, სიცილიაში - Sfincia, ხოლო ემილიაში - Ravioli, სხვადასხვა დელიკატესი ყველა მამის პატივსაცემად.

Sfince di San Giuseppe - წმიდა იოსების ბისკვიტი, ტრადიციულად, პალერმოში მზადდება. დესერტი სწორედ პალერმოში მდებარე წმიდა ფრანცისკეს სტიგმების ქალთა მონასტერში (Monastero delle stimmate di San Francesco) შეიქმნა მონაზონთა მიერ. ეს არის ნაზი და პაეროვანი ტკბილეული რიკოტასა-გან (ricotta - შრატის ყველი) მომზადებული კრემით.

### ინგრეზითი:

- 250 მლ. წყალი
- 4 გ. მარილი
- 200 გ. ფერილი
- 5 ცალი კვერცხი
- 65 გ. ნალების კარაქი
- 500 გ. ცხვრის რიკოტა
- 150 გ. შაქარი
- 50 გ. შოკოლადის ბურბუშელა

### მოზარდების ლაის:

მაშინვე მოამზადეთ რიკოტა: გამოწურეთ წყალი რიკოტასაგან, რათა ზედმეტი სითხე მოშორდეს. დაჭყლიტეთ ჩანგლით და მოაყარეთ შაქარი. როდესაც მასა კარგად აირევა, შედგით მაცივარში მინიმუმ ერთი საათის განმავლობაში. შემდეგ განწურეთ საწურში და დაუმატეთ შოკოლადი. ჩაასხით ქვაბში წყალი, შეურიეთ კარაქი, ადულების შემდეგ მოაყარეთ მარილი და ფერილი. ურიეთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე.

გააცივეთ. მოზილეთ ცომი რამდენიმე წუთის განმავლობაში, შემდეგ დაუმატეთ კვერცხები სათითაოდ, უნდა მიიღოთ გლუვი ცომი.

მზესუმზირის ზეთი ჩაასხით ქვაბში და გააცხელეთ 160-165° ტემპერატურაზე, შემდეგ კოვზით დაუმატეთ მიღებული ნარევი, ხშირად გადაბრუნეთ, სანამ არ შეიბრანება და აფუვდება. დაბალ ცეცხლზე უნდა ხარშოთ მინიმუმ 10 წუთის განმავლობაში. როგორც კი მზად იქნება, ბისკვიტი ზემოდან დაფარეთ რიკოტას კრემით.

მორთეთ დაჭრილი ფისტათი, დაშაქრული ალუბლით, დაშაქრული ფორთოხლის ცედრით და შაქრის მინანქრით.

## პათოლიკეთა რიცხვი მსოფლიოში იზრდება: ჩვენ ახლა 1 მილიარდ 390 მილიონი ვართ!

ა. წ. აპრილის დასაწყისში გამოქვეყნებული 2024 წლის პაპის წელიწდეული (Annuario Pontificio) მონაცემებით, მსოფლიოში კათოლიკეთა რიცხვი 2021 წლიდან 2022 წლამდე 1.0%-ით გაიზარდა. ცვლილების მაჩვენებელი განსხვავებულია კონტინენტიდან კონტინენტზე: ფაქტობრივად, თუკი აფრიკაში 3%-იანი ზრდა აღინიშნება, სამაგიეროდ, ევროპაში სტაბილური მდგომარეობაა (2021-2022 წლებში კათოლიკეთა რაოდენობა 286 მლნ-მდე გაიზარდა). უთუოდ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წლევანდელ აღდგომას საფრანგეთში 7135 ზრდასრული და 5000-ზე მეტი მოზარდი მოინათლა (თუ არ ჩავთვლით დაწყებით კლასებს). შეუალედური მდგომარეობაა ამერიკასა და აზიაში (შესაბამისად, +0.9% და +0.6%). ოკეანეთში ვითარება დიდად არ შეცვლილა, თუმცა მხოლოდ სიდენიში წლევანდელ აღდგომას 266 მოზარდი მოინათლა. ეპისკოპოსთა რიცხვი იზრდება აფრიკასა და აზიაში, სტაბილურია ამერიკასა და ოკეანეთში, ევროპაში კი კლება შეინიშნება. მცირდება მღვდლებისა და სამღვდელო მოწოდების მსურველთა რიცხვი, მაგრამ არა აფრიკასა და აზიაში. მოწოდების კრიზისი, რომელიც 2008 წლიდან შეინიშნება ევროპაში, არ სრულდება: 2021-2022 წლებში სემინარისტების რაოდენობა 6%-ით შემცირდა. 2022 წლისთვის, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ყველაზე მეტი სემინარისტი აფრიკის კონტინენტზე ფიქსირდება. ასევე კლებულობს მონაზონთა რაოდენობაც, სამაგიეროდ, მათი რიცხვი იზრდება აფრიკაში. პერმანენტულ დიაკონთა რიცხვი კი ყველა კონტინენტზე იზრდება. ამავე პერიოდში დაფუძნებულ იქნა 9 ახალი საეპისკოპოსო კათედრა და 1 სამოციქლო ადმინისტრაცია; 2 საეპისკოპოსო მიტროპოლიტური კათედრა და 1 სამოციქლო ვიკარიატი საეპისკოპოსო კათედრასთან.

წლევანდელ საფრანგეთის საეპისკოპოსო კონფერენციაზე, კატრინ შევალიერ, კატექეზებისა და კათაკემებითა ეროვნული სამსახურის დირექტორმა, წარ-

მოადგინა ყოველწლიური გამოკითხვის შედეგები იმ კათაკემებითა შესახებ, რომლებიც აღდგომის ცისკარზე მონათლებოდნენ. ეს იყო საუკეთესო შედეგი წლის შემდეგ, ანუ მას მერე, რაც ეს კვლევა დაიწყო. გასული წლის მსგავსად, საფრანგეთის ეპარქიებმა (სულ 104) მკვეთრი ზრდა დააფიქსირეს. 2023 წელს +28%-დან +30% -მდე. ახლად მონათლური მოზარდებიდან დაახლოებით ერთი მესამედი 18-დან 25 წლამდე ასაკისა, ხოლო დაახლოებით ერთი მესამედი სოფლად მცხოვრებია. ყველაზე დიდი ზრდით (+50%) გამოირჩევა სამი საეკლესიო პროვინცია: ბეზანსონი, დიუმი და კლერმონი. ყველაზე მაღალი ზრდა, 2000%-ზე მეტი, დაფიქსირდა სენ-კლოდის ეპარქიაში და ბეზანსონში (27 კათაკემებით, გასულ წელს მათი რიცხვი შეადგენდა რვას).

მიუხედავად იმისა, რომ ზრდასრულ კათაკემებითა უმრავლესობა ქრისტიანული ტრადიციის ოჯახებიდანაა, მათი რიცხვი გამუდმებით მცირდება (2024 წელს 61%, გასულ წელთან შედარებით, 8%-ით შემცირდა). ამავდროულად, იზრდება მათი რიცხვი, რომლებიც აცხადებენ, რომ „ურნმუნო ოჯახების“ წარმომადგენლები არიან, ისინი საერთო რაოდენობის მეოთხედს შეადგენენ. ოთხშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე, უან-ივ ლეპინმა, ერთ-ერთმა „ნეოფიტმა“, ვერსალის ეპარქიიდან, რომელიც გასულ წელს მოინათლა, თავისი გამოცდილების შესახებ ისაუბრა: „ჩემ მიერ განვლილი კათაკემების გზა შედეგია შეხვედრებისა: მღვდლებთან, რომლებიც მისმენდნენ და მხიარულ და დინამიკურ სამრევლოსთან. მათი წყალობით აღმოვაჩინე ლია, მიმღები და უკიდურესად მრავალფეროვანი ეკლესია! იყო ქრისტიანი და „კათოლიკე“ (საყოველთა), ნიშნავს გამოსცადო ეს სიკეთე ანუ ზრუნვა, გულისხმიერება და სიყვარული, რომელიც უფრო მეტად ღირებულია, ვიდრე სიმდიდრე, ძალაუფლება და დიდება“.

მასშ მაბრიელი ბრძანები

## განსვენება საუკუნო მიანიშა მათ, უფალო!



პეტრე თათოვაშვილი  
\* 06. 11. 1970, უდე  
† 15. 01. 2024, უდე



ნინო პიპოვაშვილი-ზაზავილი  
\* 01. 08. 1938, უდე  
† 16. 01. 2024, უდე



ლია აკოფავაშვილი  
\* 06. 06. 1963, არალი  
† 02. 02. 2024, არალი



მირიან პარადაშვილი  
\* 15. 06. 1933, უდე  
† 21. 02. 2024, ქობულეთი



ცისანა უზარიაშვილი  
\* 16. 06. 1963, არალი  
† 22. 02. 2024, თბილისი



თამარ ჩილინგარავაშვილი-მათევაშვილი  
\* 25. 08. 1937, არალი  
† 25. 02. 2024, არალი



ძმავ დემეტრე, შენი მონამეობის გახსენებით, მოგვეცი ძალა,  
ჩვენც გავხდეთ ქრისტეს ნამდვილი მონმენი. გვედრებით ჩვენი  
ეკლესიისათვის საქართველოში და, აგრეთვე, იმ ეკლესიებისათვის,  
რომლებსაც ეკუთვნოდნენ შენი თანამოძმენი, და კიდევ, ჩინეთის  
ეკლესიისათვის, საითენაც გეჭირათ გვზი, ასევე, იმ ორდენისათვის,  
რომელმაც თქვენ მიგავლინათ, რათა ემსახურონ ღვთის სასუფევლის  
შენებას დღევანდელ სამყაროში. ამინ.